ლელო

10 მარტი, ოთხშაბათი, 1993 წ.
№ 17 (10805) ● ფასი 5 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მოჭადრაკეთა ზონალურ ტურნირებზე

გზა მშვიდობისა, ნინო!

ნინო გურიელი, ქეთევან კახიანი და ნინო ხურციძე მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტ მოჭადრაკეთა ახალი შესარჩევი ციკლის მეხუთე ზონის „ბ“ ჯგუფში იმდენად დაწინაურდნენ, რომ ბოლო ტურში მხოლოდ მათი შეხვედრების შედეგები წყვეტდა I და II ადგილების ბედს. ხურციძეს ამ მომენტისთვის 6 ქულა ჰქონდა, გურიელსა და კახიანს — 5,5-5,5.

ბოლო, IX ტურში შედგა საქართველოსა და სომხეთის გუნდების, ასე ვთქვათ, არაოფიციალური მატჩი ხუთი-ხუთზე, თანაც ყველა პარტიაში თეთრებით სტუმრები თამაშობდნენ. გურიელმა სძლია არუსიაკ გრიგორიანს, კახიანმა — არმინა ანდრიასიანს და ელოდნენ ხურციძე-შუშანიკ აირაპეტიანის პარტიის დასასრულს. ხურციძეს ტურნირში გამარჯვებისთვის ახლა აუცილებლად უნდა გაემარჯვა და ეს შეძლო კიდეც, საბოლოოდ კი 7 ქულით მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა საზონათშორისო შეჯიბრების საგზურიც მოიპოვა. რაც შეეხება მეორე პრიზიორს (მას ეძლევა მეხუთე ზონის „ა“ ჯგუფის პრიზიორთან მატჩის უფლება), მოგვიანებით გაირკვევა ვინ იქნება იგი, კახიანი თუ გურიელი.

თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გამართულ ამ ასპარეზობის ბოლო ტურის სხვა ორ შეხვედრაში ხურცილავა დამარცხდა ლიუდმილა ალსანიანთან, მაია ლომინეიშვილმა კი სძლია გოჰარ ხლგატიანს, ასე რომ, გუნდური მატჩიც მასპინძლებმა მოიგეს — 4:1.

რაც შეეხება საქართველო-სომხეთის მოჭადრაკეთა საერთო შეხვედრების ბალანსს, იგი აშკარად თბილისელების სასარგებლოდაა — 18,5:7,5. ჩვენმა სპორტსმენებმა 45 პარტიაში 28,5 ქულა მოაგროვეს, სომხებმა — 16,5. სტუმართაგან საუკეთესო იყო საერთაშორისო ოსტატი ასლანიანი — 5,5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ხურციძე

ჯერ შინაურებში...

მოხდა ისე, რომ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ახალი შესარჩევი ციკლის ზონალური ასპარეზობის პირველ ოთხ ტურში საქართველოსა და სომხეთის 5-5 მოჭადრაკე ურთიერთობას ძირითადად შინაურებში არკვევდა. მოსკოვის ოლქის აკადემქალაქ პროტვინოში პირველ დღეს გია ბაღათუროვმა დაამარცხა ელიზბარ უბილავა, ზურაბ სტურუამ — ხვიჩა სუპატაშვილი, გიორგი ყაჭეიშვილმა — აშოტ მინასიანი, არტაშეს მინასიანმა წააგო ტიგრან ნალბანდიანთან. ოჰანეს დანიელიანი და სმბატ ლპუტიანი დაზავდნენ.

II ტურში ორი ყაიმი აღინიშნა. ქულები გაიყვეს ანასტასიანმა და დანიელიანმა, ნალბანდიანმა და სუპატაშვილმა, სხვა სამ პარტიაში კი ყაჭეიშვილმა აჯობა ბაღათუროვს, ლპუტიანმა — მინასიანს, უბილავა ისევ დამარცხდა, ამჯამად სტურუასთან.

III და IV ტური ყველაზე მშვიდობიანი გამოდგა. მესამე დღეს ყაიმით დასრულდა სტურუა—ყაჭეიშვილის, სუპატაშვილ—უბილავას, ნალბანდიან—ლპუტიანის, დანიელიან—ბაღათუროვის შეხვედრები და მხოლოდ მინასიანმა ჩაიწერა „0“ ანასტასიანთან. ანასტასიანი ერთადერთი იყო მეოთხე დღესაც, რომელიც ყაიმს არ დასჯერდა — ამჯერად თეთრებით სძლია ნალბანდიანს. ყაჭეიშვილ—სუპატაშვილის, ბაღათუროვ—სტურუას, დანიელიან—მინასიანისა და უბილავა—ლპუტიანის პარტიებმა გამარჯვებულები ვერ გამოავლინეს.

ოთხი ტურის მერე 3-3 ქულით წინ იყვნენ სტურუა და ყაჭეიშვილი. მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებოდნენ ლპუტიანი და ანასტასიანი. შემდეგ მოდიოდნენ: ბაღათუროვი, დანიელიანი და ნალბანდიანი — 2-2, სუპატაშვილი — 1,5, უბილავა — 1, მინასიანი — 0,5 ქულა.

გუშინ მეხუთე ტურის შეხვედრების დღე იყო.

მოედნებს ისევ შეუტიეს

SOS!

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიაში და გაზეთ „ლელოს“ რედაქციაში ამ დღეებში მოდის შემაშფოთებელი ცნობები იმის შესახებ, რომ გაზაფხულის თბილი დღეების დადგომასთან ერთად მოძალადეებმა თბილისში ახალი ენერგიით შეუტიეს საცხოვრებელი მიკრორაიონების მარტივ სპორტულ მოედნებს — დაიწყო ამ მოედნების გარაჟებად „ათვისების“ ახალი ტალღა.

ამიერიდან თვითნებობის ყველა კონკრეტულ შემთხვევას საპარლამენტო კომისია და ჩვენი რედაქცია საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოიტანს. ვთხოვ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს და პოლიციის განყოფილებებს დაუყოვნებლივ მიიღონ გადამჭრელი ზომები თვითნებობის ალსაკვეთად.

ჩვენი ტელეფონებია: საპარლამენტო კომისიაში — 99-98-42; „ლელოს“ რედაქციაში — 99-56-14.

პრესკონფერენცია ფეხბურთის ფედერაციაში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართა პრესკონფერენცია, ჟურნალისტებს ესაუბრა ფედერაციის გენერალური მდივანი დავით ქვონიკაძე.

იგი დამსწრეთ ელაპარაკა საფეხბურთო შეჯიბრებათა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, მისი სიტყვებით, სოხუმის „ცხუმი“ საშინაო თამაშებს თბილისში გამართავს, ხოლო, რაც შეეხება ზუგდიდის „ოდიშს“, ამ ქალაქში ყველა პირობა უნდა შეიქმნას, რათა „ოდიშმა“ თავის მინდორზე შეძლოს რესპუბლიკური ჩემპიონატის შეხვედრათა გამართვა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნება მხოლოდ ის სპეციალისტი, ვინც კლუბში არ იქნება დაკავებული, ასეთ კანდიდატს ფედერაცია უახლოეს ხანებში შეარჩევს.

შეიქმნა მსაჯთა და ინსპექტორთა დამნიშნავი, აგრეთვე, პრესასთან ურთიერთობის კომისია. ჩვენი საუკეთესო მსაჯები თ. ლაცაბიძე (სურამი), გ. სეფიაშვილი (თბილისი) და ს. კვარაცხელია (ზუგდიდი) საერთაშორისო თამაშებს მოემსახურებიან ფიფას სამკერდე ნიშნით, ხოლო ი. მექერიშვილი (გურჯაანი), მ. ჯულაყიძე (სამტრედია), მ. ელიკაშვილი (თბილისი), თ. მაჭარაძე (ხონი) და ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი), გვერდით მსაჯებად გამოვლენ.

ითქვა ისიც, რომ ჩვენს მსაჯებს გაეზრდებათ ანაზღაურება, ასე, მაგალითად: უმაღლესი ჯგუფის მატჩის არბიტრი მიიღებს 5 ათას მანეთს (აქ შედის სასტუმროს, კვების, ტრანსპორტისა და სხვა ხარჯები), პირველი ჯგუფისა კი 4 ათას მანეთს.

აპრილში ამიერკავკასიაში ჩამოვლენ უეფას პრეზიდენტი ლენარტ იოჰანსონი (შვეცია) და გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი. შესაძლოა ისინი საქართველოშიც გვეწვიონ. ეს საკითხი უახლოეს ხანებში გადაწყდება.

„ლელოს“ რედაქცია სამუშაოდ იწვევს მაღალკვალიფიციურ მბეჭდავ-მემანქანეს. ანაზღაურება შეთანხმებით.

„პატარა ნიუანსი“

ყველაფერი იყო აქ: ძლიერი ხვეული დარტყმები უკანა ხაზიდან, ბადესთან სწრაფი გასვლა, ბურთის ძლიერი „კვლა“...

— ჩვენმა ქალებმა საგრძნობლად მოუმატეს თამაშს. ისინი ახლა, თამამად შეიძლება ითქვას, ტოლს არ უდებენ წინა თაობების საუკეთესო წარმომადგენლებს, ახლო წარსულში საქართველოს ქალთა ჩოგბურთის ლიდერებს: ირინა ერმოლოვას, რენა აბჟანდაძეს და სხვებს — გვითხრა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა ჟანი გოგილაშვილმა, საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ზამთრის პირველობის მთავარმა მსაჯმა.

8 უძლიერესი ქალი მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე ჩოგბურთის სასახლეში ოთხი დღის განმავლობაში ეცილებოდა ერთმანეთს საპატიო პრიზს. ასპარეზობა ოლიმპიური სისტემით დაიწყო, შემდეგ კი ოთხმა საუკეთესომ — ირინე ბახტაძემ, სოფიკო მანაგაძემ, მაია აბაშიძემ და ანა გასპარიანმა ბრძოლა წრიული სისტემით განაგრძო.

ოთხთა ფინალმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. თითქმის ყველა მატჩი, ყველა პარტია უშეღავათო, მძაფრი გახლდათ. ბახტაძემ სძლია გასპარიანს (6:4, 7:6) და აბაშიძეს (6:2, 7:5), მანაგაძესთან კი წააგო სამ პარტიაში (7:5, 3:6, 0:6). თავის მხრივ მანაგაძემ დათმო უაღრესად დაძაბული ბრძოლა გასპარიანთან (6:7, 6:4, 6:7), მაგრამ „საკომპენსაციოდ“ დაამარცხა აბაშიძე (6:4, 6:3). აბაშიძეს ქულა ჩაეწერა გასპარიანთან, ვინაიდან მისი მეტოქე არ გამოცხადდა შეხვედრაზე.

ამრიგად, 15 წლის სოფიკო მანაგაძეს და 16 წლის ირინე ბახტაძეს ქულათა ერთნაირი რაოდენობა მოუგროვდათ. ჩემპიონობის ბედი „პატარა ნიუანსმა გადაწყვიტა — მათ შორის პირად შეხვედრაში გამარჯვებისთვის მთავარი პრიზი ს. მანაგაძეს (მწვრთნელი ვიქტორ ბაქში) მიეკუთვნა.

გივი ფოლადაშვილი

სურათზე: ს. მანაგაძე.

რობერტ შავლაყაძე—60

რობერტ შავლაყაძეს
პრიმო ნებიოლო, იააფ-ის პრეზიდენტი

ძვირფასო მეგობარო!

მიიღეთ ჩემი გულითადი მილოცვა თქვენს დაბადების დღესთან დაკავშირებით. ჩვენ კარგად გვახსოვს თქვენი შესანიშნავი გამარჯვება ოლიმპიურ თამაშებში, ჩემს მშობლიურ ქალაქში, რომში 1960 წელს. ნიშნად თქვენი უდიდესი წვლილისა ჩვენს სპორტში, უდიდესი მადლიერების გრძნობით გაჯილდოვებთ იააფ-ის სამახსოვრო მედლით.

გილოცავთ ბედნიერ დაბადების დღეს და გისურვებთ დიდ წარმატებებს მომავალში.

კეთილი სურვილებით პრიმო ნებიოლო

1 აპრილს ეროვნული სტადიონის ოსტატთა კლუბში შედგება რობერტ შავლაყაძის საიუბილეო საღამო. ვისაც სურს წვლილი შეიტანოს ამ ღონისძიების მომზადებაში, გთხოვთ დარეკოთ: 29-28-93, 22-30-81, 23-50-25.

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია

* * *



INTERNATIONAL AMATEUR ATHLETIC FEDERATIO

სურათზე: სამახსოვრო მედალი და ნებიოლოს წერილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის კოლაჟი.

„ამერიკანკა“— მუშტაიდის ბაღში

სიმართლე გითხრათ, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ბილიარდი, რომელიც ადრე უმკაცრეს ჩარჩოებში იყო მოქცეული, ლეგალიზაციის შემდეგ ასე ერთბაშად გაუტოლდებოდა სპორტის პოპულარულ სახეობებს. ამ დღეებში მუშტაიდის ბაღის საბილიარდო გულშემატკივრებს ვერ იტევდა. აქ შესარჩევ ტურნირში უნდა გამოვლენილიყო იმ საუკეთესო მოთამაშეთა ჯგუფი, სულ მალე, 19-23 მარტს მსოფლიო პირველობაზე რომ დაიცავს საერთაშორისო ორგანიზაციებში უკვე ოფიციალურად აღიარებულ საქართველოს ბილიარდის ფედერაციის ღირსებას. მსოფლიო პირველობა ჩატარდება ე. წ. ამერიკანკას პროგრამით. ცხადია, შესარჩევი ტურნირიც ამ პროგრამით მოეწყო.

თბილისელი მობილიარდეები ჩინებულად იცნობენ ერთმანეთს, იციან კოლეგების ძლიერი და სუსტი მხარეები; ისიც კი შეუძლიათ წინასწარ განჭვრიტონ, ვის რა შანსი აქვს, როცა საქმე რჩეულთა გამოვლენაზე მიდგება ხოლმე. იქნებ ზოგმა სწორედ ამიტომაც აიღო ხელი უიმედო შერკინებაზე, უძლიერესებმა კი თამამად „იშიშვლეს ხმლები“. ერთი სიტყვით, 12 აღიარებული ოსტატიდან ნახევარი — 5 ძირითადი და ერთი სათადარიგო მოთამაშე უნდა შერჩეულიყო.

ორ ჯგუფში ჯერ 4-4 უძლიერესი გამოვლინდა, შემდეგ კი ნახევარფინალი და ფინალი გათამაშდა ოლიმპიური სისტემით. დავით ალექსიძე — გივი კობოსნიძის ნახევარფინალურ შეხვედრაში გამარჯვება ალექსიძეს დარჩა — 4:2, ლადო ასათიანმა კი ვახტანგ არჩვაძეს მოუგო — 4:3. ფინალში ალექსიძემ ასათიანს სძლია (5:3) და პირველობაც მოიპოვა, მესამე ადგილი კი გაიყვეს გივი კობოსნიძემ და ვახტანგ არჩვაძემ. ამ ოთხეულს ნაკრებში დაემატა დავით ბერსენაძე და სათადარიგო მოთამაშე როსტომ მაჩაიძე. გამარჯვებულებმა და პრიზიორებმა ჯილდოდ 50 ათასი მანეთი გაინაწილეს.

ტურნირის სპონსორები იყვნენ ცნობილი ხელოვანი ზურაბ წერეთელი, ფირმა „ბიკ-კოკი“ და სამეფო ბანკი.



სურათზე: ტურნირში გამარჯვებული დავით ალექსიძე ასპარეზობისას.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

საერთო სატკივარი

აღარ ენახოთ გოდება, ცრემლი...

მადლობის მეტი რა ეთქმით თბილისის სპორტკომიტეტის მუშაკებსა და მათ ხელმძღვანელს ვლადიმერ კანკავას — ამ საერთო გაჭირვების ჟამს, მათ დიდი სითბო გამოიჩინეს და დახმარების ხელი გაუწოდეს აფხაზეთიდან ლტოლვილთა ოჯახს — გადასცეს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, 12 ათასი მანეთი. როგორც შეხვედრაზე ითქვა, ეს არ იქნება ბოლო დახმარება ამ და აფხაზეთიდან ლტოლვილი სხვა ოჯახებისადმი.

...ორი წლის ნინიკოს, ლამაზ ცქრიალა გოგონას, დედის მუხლებზე რომ დასკუპებულიყო, ცალ ხელში შოკოლადი ეჭირა, მეორეში კი გაზაფხულის პირის ლურჯი იები. ნინიკო ჯერ არ არჩევს მტერსა და მოყვარეს. არადა, სწორედ მისი სამშობლოს მტრებმა დაურღვიეს მის ოჯახს — უფროს დას, 8 წლის ლინდას, 5 თვის ძამიკოს გიორგის, დედმამას, — ჩვეული მყუდროება. სიმშვიდე, სიხარული და ღიმილი წაართვეს იმ ავადმოსაგონარ ოქტომბერში.

მასპინძლები ცდილობენ ანუგეშონ ოჯახის დედა ირინე ლომაშვილი, მაგრამ ცრემლს მაინც ვერ იკავებს სანდომიანი ქალბატონი. გაგრელ პედაგოგს (იგი ალახაძის საბავშვო ბაღში მუშაობდა წლების მანძილზე) დაურბიეს ოჯახი, მოუკლეს 68 წელს მიტანებული დედამთილი, გადაუბუგეს არემარე, მის მეუღლეს კი, მილიციის მაიორ ნუგზარ შელიას დასდევდნენ მოსაკლავად. ვერ ჩაიგდეს ხელში. ბატონი ნუგზარი დღეს სოხუმის დამცველთა რიგებში იბრძვის იარაღით ხელში.

ირინე ლომაშვილი და პატარა ნინიკო.
ანზორ კოპლამაზაშვილის ფოტო.

— გიორგი 1 ოქტომბერს შემეძინა და სულ რაღაც ერთ კვირაში ახალშობილთან, ნინიკოსთან და ლინდასთან ერთად იძულებული ვიყავი ადლერში გავქცეულიყავი. ბოლოს, როგორც იქნა, თბილისს მოვაღწიეთ. ახლა ჩუღურეთში ბიძაშვილებთან, გვაჯაევების სტუმართმოყვარე ოჯახში ვცხოვრობთ. გაგრაში ქართველები თითქმის აღარ დარჩენილან, თუ დატოვეს, მხოლოდ მოხუცები, უძლურნი...

ქალბატონ ირინესგან შევიტყვეთ, რომ ყველასთვის საყვარელი ფეხბურთელის ვლადიმერ ბარქაიას სახლსა და კარ-მიდამოს დღეს აფხაზი სეპარატისტი დაუფლებია, ბარქაიას ოჯახი მთლიანად თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. ასევე ძველი დინამოელის გოჩა გავაშელის შესახებ არაფერი ვიცით. რაც შეეხება მათ პირველ მწვრთნელს, შესანიშნავ გაგრელ სპეციალისტს რევაზ შარტავას, მან, რომ იტყვიან, სულზე გაასწრო მტრის ტყვიას და ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს. კიდევ ერთი გამოჩენილი ფეხბურთელის გიორგი სიჭინავას ოჯახი გახიზნულა სოჭში. აქვეა ფარიკაობის შესანიშნავი მწვრთნელის როზა ჯოლოღუას ოჯახიც. ნიჭიერი კალათბურთელი, გაგრელი იური ძიძიგური კი დაიღუპა მშობლიურ მიწაზე, რომელიც ასე უყვარდა და ეტრფოდა.

ღმერთო, მალე დამთავრდეს ეს ომი, ჩვენმა შვილებმა — პატარა გიორგებმა, ნინოებმა, ლინდებმა — აღარ ნახონ გოდება და ცრემლები. ღმერთმა ქნას!

ოთარ ნოზაძე

სხვათა გამოცდილება კანონპროექტების შემუშავებისას

„რენდ კორპორეიშნი“ სახელმწიფოსთვის მასობრივი სპორტის სარგებლიანობაზე

მონაცემები, რომელიც საქვეყნოდ ცნობილი „რენდ კორპორეიშნის“ ექსპერტების გამოკვლევის შედეგადაა მიღებული, მოწმობს, რომ სპორტით მომეცადინეთ სარგებლობა მოაქვთ არა მარტო საკუთარი თავისთვის (იკაჟებენ ჯანმრთელობას), არამედ სახელმწიფოსათვისაც (ამცირებენ მის ხარჯებს). დიდი სახსრები იზოგება იმის გამო, რომ ფიზკულტურელები გაცილებით უფრო იშვიათად გვხვდებიან საავადმყოფოების პაციენტებს შორის, ვიდრე ადამიანები, რომლებიც მისდევენ ნაკლებად მოძრავ ცხოვრებას. მათი შეფარდება უდრის 1:3.

სახელმწიფო ხარჯების ეკონომიის მეორე მნიშვნელოვანი წყარო დაკავშირებულია სამსახურის იძულებით გაცდენებთან ავადმყოფობის გამო. მეორე მხრივ, ვინაიდან ფიზკულტურელები გაცილებით მეტს ცხოვრობენ არაფიზკულტურელებზე, სახელმწიფო დაზღვევის გადასახადი სიცოცხლეზე შედარებით მცირდება.

ცხადია, სიცოცხლის გახანგრძლივება დამოკიდებულია სხვადასხვა ხარჯებზე — პენსიების გადახდა, უპატრონოთა სახლებზე ზრუნვა და სხვა. მაგრამ, საერთო ჯამში, მოქალაქეთა ჯანმრთელი ცხოვრების გამო მიღებული შემოსავალი ბევრად აღემატება გასავალს. „რენდ კორპორეიშნის“ ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ყოველ ფიზკულტურელს თავისი ცხოვრების მანძილზე სახელმწიფოსთვის მოაქვს დაახლოებით 1.900 დოლარი ეკონომია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მარტო აშშ-ს 25-მილიონიან მორბენალთა არმიას თავისი სიცოცხლის განმავლობაში სახელმწიფოსათვის 47,5 მილიარდი დოლარის ეკონომია მოაქვს.

„ჩვენს მიერ მიღებული შედეგები თვალნათლივ ადასტურებენ კაპიტალდაბანდებათა მიზანშეწონილობასა და დასაბუთებას რეკრეაციული ობიექტების შექმნისა და წარმოებისათვის სპორტის პროგრამების დაფინანსებაზე, როგორც სახელმწიფოს, ასე კერძო მეწარმეთა მხრივ“ — აღნიშნავენ მკვლევარნი.

აშშ-ის სპორტული ნაგებობები

სტატისტიკური მონაცემებით, აშშ-ს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია მსოფლიოში სპორტულ ნაგებობათა რაოდენობით ყველა დონის სპორტსმენთათვის, მათ შორის მოყვარულთათვის.

კალათბურთს მტკიცედ უკავია პირველობა სათამაშო სახეობებში — აშშ-ში არის კალათბურთის 445 სტადიონი მთავარი ლიგის 26 გუნდისთვის და 162 სტადიონი — შედარებით დაბალი რანგის ლიგებისა და უნივერსიტეტების 667 კალათბურთელთა გუნდებისთვის.

188 სპორტის სასახლეში თამაშობს „ნბა“-ს 27 კალათბურთის გუნდი. „კბა“-ს 16 გუნდი, 105 საუნივერსიტეტო ქვედანაყოფი (დივიზიონი), რომლის მოთამაშეთა საერთო რაოდენობა 10000-მდეა. გარდა ამისა, უნივერსიტეტთა 768 გუნდი თამაშობს კალათბურთს ქალაქის 40 სტადიონსა და სპორტდარბაზებში.

ამერიკული ფეხბურთის მოთამაშეთათვის განკუთვნილია 134 მოედანი, რომელზეც „ნფლ“-ის 28 გუნდი ვარჯიშობს, აგრეთვე 106 საუნივერსიტეტო ქვედანაყოფის (დივიზიონის) 149 გუნდი, რომლებიც „ნკაა“-ს წევრები არ არიან.

ჰოკეისტების გამგებლობაშია 71 ყინულის სარბიელი, სადაც აშშ-ში განლაგებული „ნჰლ“-ის 14 გუნდი თამაშობს, აგრეთვე უფრო დაბალი ლიგების (მხოლოდ „აჰლ“-ისა და „ნჰლ“-ის) 19 გუნდი და 38 საუნივერსიტეტო კლუბი, რომლებიც 126 ვაჟთა გუნდს ითვლის.

კონკურენციის გარეშე არიან ჩოგბურთელები — აშშ-ში 300 ათასამდე ჩოგბურთის კორტია, თუ არ ჩავთვლით კერძო კლუბებს და საშინაო მოედნებს დიდი ჩოგბურთის სათამაშოდ.

გოლფისთვის განკუთვნილია 12407 ოფიციალურად რეგისტრირებული მოედანი (მათ შორის, კერძო და საუნივერსიტეტო).

სტუდენტური სპორტის ეროვნული ასოციაციის („ნკაა“) მძლეოსანთა განკარგულებაშია 557 ღია და 440 დახურული სტადიონი.

ცურვა № 1 სპორტის სახეობაა ამერიკაში, აბა კიდევ რომელ ქვეყანაში შეიძლება იყოს 4,5 მილიონი საცურაო აუზი, რომელთაგან 2 მილიონი მუდმივმოქმედია, 30000 აუზი სკოლებსა და უნივერსიტეტებშია, 51315 — საზოგადოებრივ პარკებში, 57257 — კერძო საკუთრებაში.

ეს სტატისტიკური მონაცემები არ ითვალისწინებს ყველა სტადიონსა და სპორტულ მოედანს, რომლებიც ქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებლობაშია, აგრეთვე ეკუთვნის კერძო მეპატრონეთ, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებს. გარდა ამისა, ზოგიერთი სპორტული მინდორი და მოედანი არ შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს, ამიტომ ისინი არ იქნა გათვალისწინებული. და მაინც, განა ღირს ამის შემდეგ გიკვირდეს, რომ ამერიკელთა უმრავლესობა ყოველდღიურად მისდევს ფიზიკურ კულტურასა და სპორტს.

მასალები მომზადდა საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის საპარლამენტო კომისიის მიერ მოპოვებული მონაცემების მიხედვით.

რეკორდსმენიდან — რეკორდსმენამდე

მაია აზარაშვილი

წერილი მეხუთე

[illegible]თ ერთმანეთი გაიცნეს 17 წლის წინათ, თიანეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკში, სადაც გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები საზაფხულო შეკრებაზე იმყოფებოდნენ. მაშინ მაია აზარაშვილი ამ სკოლის IV კლასელი გახლდათ და ჩოგბურთს მისდევდა.

— სპორტის ეს სახეობა პატარაობიდანვე მიტაცებდა. თავდავიწყებით მიყვარდა. ვერც კი წარმომედგინა, ოდესმე თუ ვუღალატებდი, მაგრამ...

იმ ზაფხულს 11 წლისა ვიყავი. ყოველდღე ინტენსიურად ვვარჯიშობდი. მარჯვედ ვხმარობდი ჩოგანს, შესანიშნავად ვაწვდიდი ბურთს, მეტოქის მოწოდებულსაც მუდამ ვუსწრებდი. ეტყობა, ჩემმა სისხარტემ მიიქცია მძლეოსანთა მწვრთნელის გიორგი გოზალიშვილის ყურადღება. თურმე ყოველდღე კორტთან იდგა და მაკვირდებოდა, რა ვიცოდი, ჩემს გადაბირებას თუ შეძლებდა.—გეტყვით მაია., თუ ჰკითხავთ: როგორ გახდა „სპორტის დედოფლის“ ერთგული „მხევალი“... — შემომიჩნდა: მძლეოსნობისთვის ხარ დაბადებული, შესანიშნავი სპრინტერი დადგები, მსოფლიოს მოივლიო. მიამბო საქართველოს რეკორდსმენებზე: ზალდასტანიშვილზე, გოკიელზე, დვალიშვილზე... მელაპარაკა მსოფლიოს საუკეთესო მორბენლებზეც. ასე დავვახლოვდით. საბოლოოდ მაშინ „გამტეხა“, როცა მითხრა — 100 მეტრზე ვარდო ქუთათელაძისა და 200 მეტრზე ნადია ხნიკინა-დვალიშვილის მიერ დამყარებული რეკორდები გასაუმჯობესებლად შენ გელიანო...

ასე გაცვალა მაიამ ჩოგანი სპრინტერის ქაცვიან ფეხსაცმელებზე. რამდენიმე წელს მან და გიორგიმ ერთად იმუშავეს. მაია საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში ჩაირიცხა, მოზარდების რეკორდებს შეუტია, ოსტატობის კანდიდატი გახდა და... როცა რესპუბლიკის ნაკრების ინტერესებმა მოითხოვა, მწვრთნელი შეეცვალა — გოზალიშვილმა პატარებთან დარჩენა ამჯობინა. დაქალიშვილებული აზარაშვილის დაოსტატება ანდრო ბედუკაძეს დაევალა. ახალმა წარმატებებმაც არ დააყოვნა.

1982 წელი იდგა — I საკავშირო ახალგაზრდული თამაშების წელი. ლენინგრადში გამართულ მძლეოსანთა იმ შეჯიბრებაში მაიას ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, მაგრამ ცნობილ სპეციალისტთა ყურადღება ნამდვილად მიიპყრო.

— მეც ვიგრძენი საკუთარი ძალები. ოსტატობის სურვილი თითქოს გამიასკეცდა. მწვრთნელის ყოველი მითითება კანონად მექცა. ამასობაში ხალხთა სპარტაკიადაც კარს მოგვადგა. სწორედ მისთვის მზადებისას ამისრულდა ნატვრა — 83-ის მაისში თბილისში გამართულ ასპარეზობაზე 200 მეტრი 23,8 წამში გავირბინე. ეს ორმაგი გამარჯვება იყო: ოსტატიც გავხდი და რესპუბლიკური რეკორდიც გავაუმჯობესე, თითქმის 30 წლის რეკორდი.

მაიას არც ის დაუმალავს, რომ ერთგვარი ჩავარდნებიც ჰქონდა, საკავშირო სარბიელზე ჯერ კიდევ მრავლად ჰყავდა კონკურენტები. ახლა ერთი სული ჰქონდა საერთაშორისო ასპარეზობებში მიეღწია საწადელისათვის. სწორედ ამ სწრაფვამ შეაძლებინა იმ 23,8-ისათვის რამდენჯერმე გადაემეტებინა, ვიდრე 84-ის ივნისში 22,63 არ აჩვენა და საერთაშორისო კლასის ოსტატი არ გახდა.

— 100 მეტრზე რბენაში? — ვკითხე.

— იმავე სასპარტაკიადო წელს საქართველოს რეკორდების ცხრილში ქუთათელაძის გვარიც შევცვალე — მაგნიტოგორსკში 11,4 ვაჩვენე — ქალბატონ ვარდოს მიღწევაზე 0,1 წამით უკეთესი! ლოსანჯელესის ოლიმპიური თამაშებისათვის ვემზადებოდი. იქიდან უმედლოდ ნამდვილად არ დავბრუნდებოდი, მაგრამ... მოგეხსენებათ საბჭოთა სპორტის ხელმძღვანელთა უკუღმართობა — იმ ოლიმპიადას ბოიკოტი გამოუცხადეს და... — სინანულით იგონებს მაია.

ეს არ იყო მაიას საუკეთესო შედეგები, არც მომდევნო წლის მონაპოვარი — რესპუბლიკური რეკორდები 4X100 მეტრზე ამანათრბენში (44,9) მზია აფციაურთან, ელენა გალუტვინასთან, თამარ შანიძესთან და 4X200 მეტრზე (1.40,2) ოლღა ვიქტოროვასთან, ვალენტინა ხრომოვასთან და ნატალია დეკტიაროვასთან ერთად 1986 წელს.

მთავარი „სარეკორდო მოვლენები“ — სეულის ზაფხულის ოლიმპიადისათვის მზადების ძირითადი ეტაპი წინ იყო. იმ დროისთვის მაიას უკვე ივგენი გაგუა ავარჯიშებდა.

მაგონდება გაგუას ნათქვამი:

— მაია საოლიმპიადო ნაკრების კანდიდატთა სიაში ირიცხებოდა, მაგრამ მეტოქე იმდენი ჰყავდა, ერთი წაფორხილებაც კმაროდა, თამაშების საგზურს რომ დამშვიდობებოდა. ეს კარგად ვიცოდით ორივემ, ვიცოდით, რომ საბოლოო მიზნის მისაღწევად გაათკეცებული შრომა იყო საჭირო და ჩვენც თავდაუზოგავად ვშრომობდით. დაგვიფასდა კიდეც...

სეულის სტარტამდე სულ რაღაც თვენახევრით ადრე კიევი სტუდენტთა თამაშებს მასპინძლობდა. იქ მძლეოსანთა შეჯიბრება ოლიმპიურთან მაქსიმალურად მიახლოებულ ვითარებაში ჩატარდა. რაც მთავარია, დროს ელექტროწამმზომები აღრიცხავდნენ. აი, სწორედ ამ ელექტროწამმზომებმა დააფიქსირეს მისი ახალი რესპუბლიკური რეკორდები 100 (11,08) და 200 მეტრზე (22,24) რბენაში. მერე კი კიშინიოვში, ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების ტრადიციულ მატჩში 400 მეტრზე რბენაშიც შეასწორა საქართველოს რეკორდი — 51,2 წამში დაფარა მისთვის თითქმის უჩვეულო მანძილი.

მაია აზარაშვილი

— მართლაც შესანიშნავ სპორტულ ფორმაში ვიყავი. ჯინს ისიც მიძლიერებდა, რომ ვიცოდი — ნაკრების ხელმძღვანელობას სეულში ჩემს მაგიერ რუსის წაყვანა ერჩივნა. მე საქმით უნდა დამემტკიცებინა, რომ არც ისე ხელწამოსაკრავი ფიგურა ვიყავი. დავამტკიცე კიდეც.

ბოლოს გამოსავალი იმაში ნახეს, რომ კვარტეტში ჩამრთეს და, როგორც გულშემატკივრებს ახსოვთ, ოლიმპიადიდან ბრინჯაოს მედლით დავბრუნდი. იგი შეიძლებოდა უკეთესი ხარისხისაც ყოფილიყო, საფინალო გუნდის დაკომპლექტებისას დაშვებული შეცდომები რომ არა. — სინანულით იგონებს საქართველოს ჯერჯერობით უკანასკნელი რეკორდსმენი სპრინტერულ მანძილზე რბენებში.

● რა მოგიტანათ ოლიმპიურმა მედალმა?

— მძლეოსნურმა სამყარომ უფრო კარგად გამიცნო. გამოჩნდნენ უცხოური კლუბები, რომლებმაც კონტრაქტი შემომთავაზეს. ყველას იუგოსლავია ვარჩიე — სლოვენიის კლუბ „იბე ელ ოლიმპია“, ასე ვთქვათ, გამოსაცდელად რამდენიმე საერთაშორისო ასპარეზობა დამიგეგმა სათანადო ანაზღაურებით. მძლეოსანთა უფროსმა მწვრთნელმა ზორნადა ბრანკომ ასეთი პირობა დამიდო: „200 მეტრი 23,1-ში უნდა ირბინო“, თუ მის ნდობას გავამართლებდი, კონტრაქტი გაფორმდებოდა. იტალიისა და სლოვენიის ქალაქებში — კათოლიკაში, ბაიტანოში, ტრენტოში, ზაგრებში რამდენიმე შეჯიბრება მოვიგე და რაც მთავარია, ზუსტად 23,1 ვაჩვენე. ალბათ ამიტომაც იხუმრა ბრანკომ: „უკეთესი შედეგი რომ დაგვეგეგმა, მჯერა, იმასაც მიაღწევდიო“. მეც მგონია, რომ მივაღწევდი — ჩემი საუკეთესო შედეგი ხომ გაცილებით აღემატებოდა მას.

● და გაფორმდა კონტრაქტი?

— სამწუხაროდ, არა! იმ წელს ატყდა იუგოსლავიაში შინააშლილობა და ეს საქმე არ გამოვიდა, შემდეგისთვის გადაიდო...

ჩვენი ეს საუბარი 1991 წლის ზაფხულში შედგა. მაიას დიდი სურვილი იყო ამგვარი კონტრაქტის გაფორმება. იცით რატომ? უცხოეთში წვრთნისა და ცხოვრების გაცილებით უკეთესი პირობებიაო, სპორტი ჩემი პროფესიაა, დიდი-დიდი 4-5 წელს გავძლო სარბიელზე, რაღაც ხომ უნდა დავაგროვო, ესეც არ იყოს, მინდა საქართველოს რეკორდების ჭერი ისე ავწიო, რომ მისი შეწვდომა დიდხანს ვერავინ მოახერხოსო...

როცა ეს წერილი მზადდებოდა, გადავწყვიტე ერთხელ კიდევ შევხმიანებოდი მაიას... იგი ოჯახით ლიუბლიანაში „გადასახლებულა“ კონტრაქტით. იქ საკლუბო გუნდის ინტერესებს იცავს და თუ საქართველოს დასჭირდა, თავისი რესპუბლიკის ნაკრების სახელით გამოსვლის უფლება დაიტოვა.

თამარ ბელაშვილი

საქართველოს თასის გათამაშება ფეხბურთში მერვედფინალი

6 მარტს საქართველოს საფეხბურთო თასის გათამაშების მერვედფინალურ. შეხვედრებში ზოგიერთმა რანგით დაბლა მყოფმა გუნდმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეებს, ამიტომაც განმეორებითი მატჩები დღეს მრავალ საინტერესოს პირდება გულშემატკივართ.

„დინამო" (თბილისი) — „კოლხეთი-1918" (ფოთი) 7:0 (4:0). „დინამო": ზოიძე, ბერაძე, რეხვიაშვილი, შელია, ქველაძე, ყაველაშვილი (ქოქოშვილი), ა. არველაძე, ანჩაბაძე, რ. არველაძე, ქინქლაძე, შ. არველაძე (კვარაცხელია); **„კოლხეთი-1918"**: მიქავა, თიბილაშვილი, კუნთელია, დანელია, გოროზია, შამათავა, ღლონტი (ბაჯალაძე), მახარაძე, ქაშიბაძე, თვარაძე, ბულუხია (ხურცილავა). მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), მ. ჯულუყიძე, ს. კახიანი (ორივე — სამტრედია). გოლები: ყაველაშვილი, ქინქლაძე, შ. არველაძე, ა. არველაძე (2), რ. არველაძე (2). გააფრთხილეს ბ. დანელია („კოლხეთი-1918").

მერვედფინალის ამ ცენტრალურ მატჩში სტუმრებმა იმედი გაგვიცრუეს, მათ ეპიზოდურ შეტევებს ადვილად იგერიებდნენ დინამოელთა მცველები. ფოთელთა ნახევარმცველები ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოების უზრუნველყოფით იყვნენ დაკავებულნი, მინდვრის შუაგულში კი შექმნათ ვაკუუმი, რომლის შევსებაც ნუგზარ თვარაძის უკან დახევითაც ვერ შეძლეს.

თბილისელებმა, იმის მიუხედავად, რომ წინა დღით ჩამოფრინდნენ კვიპროსიდან მნიშვნელოვანი დანაკარგით (დიმიტრი კუდინოვი საფეხბურთო კარიერას კვიპროსში განაგრძობს), ენერგიულად შეუტიეს მეტოქეს. მაყურებელმა დიდი სიამოვნება მიიღო ძმები არველაძეების, ქინქლაძის, ყაველაშვილისა და სხვათა გააზრებული თამაშით. დინამოელებმა ყველა კომპონენტში აშკარად დაჯაბნეს მეტოქე.

„მარგვეთი" (ზესტაფონი) — „გურია" (ლანჩხუთი) 2:0 (2:0). მსაჯები: შ. ხანიაშვილი, ზ. დოლიძე (ორივე — თბილისი), შ. ბერიძე (ასპინძა). გოლები: ენდელაძე, კოკნაძე. გააფრთხილეს თ. ფაიქიძე („მარგვეთი").

ეს მატჩი გაიმართა თბილისში და საკმაოდ პრინციპულიც გახლდათ. ზესტაფონელები პირველ ტაიმში ფლობდნენ ინიციატივას, ლანჩხუთელები კი მხოლოდ მეორე ნახევარში გააქტიურდნენ, მაგრამ საუკეთესოდ ითამაშა „მარგვეთის" მეკარემ ბაბუაძემ.

„ცხუმი" (სოხუმი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:1 (0:1). მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი), თ. მაჭარაძე (ხონი), ზ. დარჩია (თბილისი). გოლები: ჯანაშია („ტორპედო"), ი. გაბისკირია („ცხუმი"). გააფრთხილეს ა. ჩხაბერიძე („ტორპედო").

სოხუმელებმა მეტოქე რუსთავში მიიღეს. პირველ ტაიმში სოხუმელთა უპირატესობა იყო საგრძნობი. თამაშის ბოლო წუთზე სოხუმელმა გოგიაშვილმა ცარიელ კარში ვერ გაიტანა ბურთი.

„სიონი" (ბოლნისი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 3:1 (0:1). მსაჯები: ნ. კილაძე, ვ. ეჯიბია, გ. ტაბატაძე (სამივე — თბილისი). გოლები: ბაბუნიძე („სამგურალი"), ბ. უგულავა, ჯაგიდისი, ბასილაშვილი („სიონი").

ბოლნისელები ბოლო წლებში გარკვეულ წარმატებებს აღწევენ სათასო შეხვედრებში, ასე მოხდა ამჯერადაც. თავდაპირველად სტუმრები აქტიურობდნენ, მაგრამ მასპინძლებმა შემდგომში გაათანაბრეს თამაში, მეორე ნახევარი კი მათი სრული უპირატესობით წარიმართა.

„ბათუმი" (ბათუმი) — „დილა" (გორი) 3:0 (1:0). მსაჯები: ო. გუნთაძე, ვ. ჩოჩიშვილი, ა. შილაკაძე (სამივე — თბილისი). გოლები: თორლაშვილი, ბალაძე (პენალტით), ხომერიკი.

„სამტრედია" (სამტრედია) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 1:1 (0:1). მსაჯები: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი), მ. ელიკაშვილი, ს. შალამბერიძე (ორივე — თბილისი). გოლები: ჩინჩალაძე („საპოვნელა"), არაქელიანი („სამტრედია"). გააფრთხილეს: ა. ძიძიშვილი, გ. უქლება (ორივე — „საპოვნელა").

„დინამო" — „კოლხეთი-1918".

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

თერჯოლელებმა დაამტკიცეს, რომ მათი წარმატება მეთექვსმეტედფინალში რუსთავის „გორდასთან" შემთხვევითი არ ყოფილა. სამტრედიაში სტუმრებმა კონტრშეტევებზე ააგეს თამაში, ამ ტაქტიკამ გაამართლა კიდეც და სამტრედიელთა დებიუტანტის გ. არაქელიანის ზუსტი დარტყმა რომ არა, თამაშის ბოლო წუთზე, თერჯოლელები გამარჯვებასაც იზეიმებდნენ.

„მალაროელი" (ჭიათურა) — „შევარდენი-1906" (თბილისი) 2:2 (0:0). მსაჯები: ჯ. წერეთელი, მ. ფოლადაშვილი (ორივე — რუსთავი), ი. მექერიშვილი (გურჯაანი). გოლები: ბუიშვილი-2 („მალაროელი"), ა. გოგიჩაიშვილი (პენალტით), ყიზილაშვილი („შევარდენი-1906"). გააფრთხილეს მ. კიპაროიძე („მალაროელი").

ამ შეხვედრაშიც პირველი ჯგუფის ბინადარმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია უმაღლესი ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერს. ჭიათურელები განსაკუთრებით გააქტიურდნენ თამაშის მეორე ნახევარში და ორი ბურთითაც დაწინაურდნენ. ბოლო წუთებზე მათ დაღლა დაეტყოთ, რითაც კარგად ისარგებლეს თბილისელებმა და ანგარიში გაათანაბრეს.

„ქიზიყი" (წნორი) — „დურუჯი" (ყვარელი) 0:3 (0:1). მსაჯები: ა. წერეთელი (ჭიათურა), ა. ბერიძე, ზ. ცინცაძე (ორივე — თბილისი). გოლები: გვასალია, პოზოიანი, შანიძე. გააძევეს ზ. ხუცაშვილი („ქიზიყი").

ვისაც სმენია, თუ რა სავალალო მდგომარეობაში არიან წნორელები, არ გაუკვირდება ასეთი ანგარიში — მასპინძელთა გუნდი ხომ დაშლის პირასაა, უვარგის მდგომარეობაშია მინდორი, გასახდელები. ასეთ სპორტულ ბაზაზე ეროვნული ჩემპიონატისა თუ თასის გათამაშების მატჩების ჩატარება შეუფერებლად მიგვაჩნია.

დაბოლოს, მცირე შენიშვნა: ფეხბურთი უმაყურებლოდ ძნელი წარმოსადგენია, დღეს ბევრი ერიდება სტადიონზე მისვლას, მაგრამ არიან ჭეშმარიტი გულშემატკივარნი, რომლებსაც უფეხბურთოდ ცხოვრება არ შეუძლიათ. და რაოდენ საწყენია, რომ ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხი ასეთ მაყურებელს უკარგავს სტადიონზე მისვლის ხალისს. მაგალითად, ამ შაბათს ორი სათასო შეხვედრა გაიმართა თბილისში და, ფაქტიურად, ერთდროულად. ხომ შეიძლებოდა, ერთი თამაში ოდნავ ადრე, მეორე კი ოდნავ გვიან დაგვეწყო?

ჯემალ ჟიბაშვილი

იყო ასეთი გუნდი „მწყემსი"

ამას წინათ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა რესპუბლიკის პირველობა მინიფეხბურთში, გათამაშების ფინალში რუსთავის „გორდასთან" ერთად გავიდა თელავის „კახეთი". მართალია, თელაველებმა დამატებით დროში მარცხი განიცადეს, მაგრამ მათ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს რუსთავის გამოცდილ ფეხბურთელებს.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით დამებადა აზრი, მკითხველისთვის მომეთხრო თელავის საფეხბურთო წარსულის ზოგიერთი ამბავი.

ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში თელავის პირველი საშუალო სკოლის შენობაში მოეწყო სპორტული დარბაზი, სადაც ტანვარჯიშს ეუფლებოდნენ შალვა ნაცვლიშვილის ხელმძღვანელობით, მძლეოსნობასა და ფეხბურთში ნაყოფიერად მუშაობდნენ ძმები იაკობ და გიორგი ჩიკვაიძეები. სწორედ მათ აზიარეს აქაური ჭაბუკები ფეხბურთს. იაკობ ჩიკვაიძე, პროფესიით ექიმი, შემდგომში კარგა ხანს მოღვაწეობდა თელავში და არ ივიწყებდა სპორტს, ხოლო გიორგი ჩიკვაიძე თბილისში გადავიდა და სპორტული მოღვაწეობა განაგრძო.

ეს იყო დაახლოებით 1927-28 წლები, თელავში ფეხბურთელთა ათიოდე გუნდი არსებობდა, მათ შორის ყველაზე პოპულარული გახლდათ „მწყემსი", რომელიც ქალაქის ღირსებას იცავდა, თუ რომელიმე გუნდი თელავში ჩამოვიდოდა ამხანაგურ შეხვედრათა გასამართავად. მახსოვს, მაგალითად, გვეწვია ნავთლუღის ე. წ. „ჯავშნიანი ნაწილები", ეს გუნდი ამგვარ შეხვედრებს მართავდა სიღნაღში, ველისციხეში და კახეთის სხვა რაიონებში. თელავში მაშინ არ გვქონდა კეთილმოწყობილი საფეხბურთო მინდვრები, ვთამაშობდით და შეჯიბრებებს ვმართავდით ნადიკვარის ქვევით მდებარე ბუნებრივ მოედანზე, სწორედ იქ, სადაც ახლა ქალაქის სტადიონია. ვვარჯიშობდით თელავის ბაღის სამხრეთით მდებარე მცირე ზომის მინდორზე. ამ ადგილს მაშინ „ტერტერაანთ მინდორს" უწოდებდნენ, ახლა კი იქ საჩოგბურთო კორტებია.

თელაველთა გუნდში ფიზიკურად ძლიერი, ენერგიული ფეხბურთელები თამაშობდნენ. მინდა გამოვყო ლავრენტი (ლენტო) ესიტაშვილი, ცენტრალური თავდამსხმელი, რომელიც დიდად პოპულარული გახლდათ ქალაქში.

თელავის ფეხბურთმა ბოლო ხანებში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. მინდა ამ გუნდს ვუსურვო შემდგომი წინსვლა და ახალ-ახალი წარმატებები. გთავაზობთ ფოტოზე აღბეჭდილ მაშინდელი „მწყემსის" შემადგენლობას (მარცხნიდან): რეზო დიასამიძე, ვახტანგ მარჯაროვი, ლენტო ესიტაშვილი, ლევან ედილაშვილი, ნიკოლოზ ავალიშვილი, მომდევნო ფეხბურთელის ვინაობა არ მახსოვს, გიორგი ესიტაშვილი, არ მახსოვს, უგლია გოგილაშვილი, ვალოდია სტოლბოვი, შალვა მუნჯიშვილი.

ლევან ედილაშვილი,
საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.



არტისტული, ემოციური, კონფლიქტური...

როცა ახლანდელ უძლიერეს ფეხბურთელებზეა ლაპარაკი, ერთ-ერთ პირველს, როგორც წესი, ბულგარელ ხრისტო სტოიჩკოვს ასახელებენ. იგი 1966 წელს დაიბადა პლოვდივში, ვარჯიშობდა ადგილობრივ კლუბ „მარიცას" ბავშვთა სკოლაში, შემდეგ გადავიდა „ჰებროსში" (ხარმანლი) და 19 წლისამ მიიპყრო სოფიის არმიელთა კლუბ „სრედეცის" ხელმძღვანელთა ყურადღება. სულ მალე სტოიჩკოვი ამ გუნდის საუკეთესო სნაიპერი გახდა — 119 მატჩში 81 ბურთი გაიტანა, დიდი პოპულარობაც მოიპოვა და ბულგარეთის ნაკრებშიც მიიწვიეს. 1989-90 წლების სეზონში მან კლუბში 38 ბურთი გაიტანა, რისთვისაც „ფრანს ფუტბოლის" პოპულარული ჯილდო „ოქროს ბუცი" მიეკუთვნა, როგორც ევროპის ქვეყნების ჩემპიონატების ყველაზე შედეგიან თავდამსხმელს.

1989 წელს თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში „სრედეცს" ესპანეთის „ბარსელონასთან" მოუხდა შეხვედრა. ძალები, რა თქმა უნდა, აშკარად არათანაბარი იყო, „ბარსელონას" განთქმულმა ინგლისელმა ფორვარდმა ლინეკერმა „თავისი" გოლები გაიტანა, მაგრამ სტოიჩკოვმაც თქვა ავტორიტეტული სიტყვა. მართალია, ბულგარელები დამარცხდნენ, მაგრამ სტოიჩკოვმა ცნობილ სუბისარეტას, ესპანეთის ნაკრების მეკარეს სამი ბურთი გაუტანა. ალარც იყო გასაკვირი, რომ, როცა ლინეკერს კონტრაქტი გაუთავდა და „ბარსელონას" გამოეთხოვა, მის ნაცვლად სწორედ სტოიჩკოვი მიიწვიეს. „ბარსელონას" ეს ხელშეკრულება 4 მილიონი დოლარი დაუჯდა.

ხრისტო სტოიჩკოვი მინდორზე არტისტული და ემოციურია, დიდი ტემპერამენტითაც გამოირჩევა. ეგაა, ხშირად მოსდის კონფლიქტი მსაჯებთან. მკითხველებს შეიძლება ახსოვთ ერთ-ერთი სკანდალური შემთხვევა, როცა მსაჯთან მწვავე შეკამათებისთვის სტოიჩკოვი მოედნიდან გააძევეს. თავის ფეხბურთელს აქტიურად გამოექომაგა „ბარსელონას" მწვრთნელი იოჰან კრუიფი, და მასაც დაატოვებინეს მინდორი. სტოიჩკოვს ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია მისცეს და მის კლუბს დიდი წვალება დასჭირდა, რათა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას ეს ვადა შეემცირებინა.

ექსპერტების აზრით, სტოიჩკოვმა დიდებულად ითამაშა 1990-91 წლების სეზონში თასების მფლობელთა თასის გათამაშების ყველა ეტაპზე. თურქეთის „ტრაბზონსპორის", ისლანდიის „ფრომის", კიევის „დინამოს" დამარცხების შემდეგ „ბარსელონამ" მოუგო იტალიის „იუვენტუსს" და ბულგარელი ფორვარდი ამ შეხვედრაშიც ბრწყინავდა.

სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ „ბარსელონა" ფინალში შეძლებდა „მანჩესტერ იუნაიტედის" დამარცხებას, მაგრამ ასე არ მოხდა. ინგლისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1, ამასთან ესპანელთა კარში ორივე გოლი მარკ ჰიუზმა გაიტანა, რომელიც ერთხანს „ბარსელონაში" გამოდიოდა.

1991-92 წლების სეზონში „ბარსელონამ" მთავარ ამოცანად ჩემპიონთა თასის მოპოვება დაისახა. მის „საერთაშორისო კოლექციაში" უკვე იყო ორი ევროპული თასი, უმნიშვნელოვანეს ჯილდოს — ჩემპიონთა თასს კი აქამდე ვერაფერი მოუხერხა. ი. კრუიფმა მიიჩნია, რომ ამ ფრონტზე გამარჯვების დროც დადგა.

ჩემპიონთა თასის გათამაშება საგრძნობლად შეცვლილი სისტემით ჩატარდა, საშემოდგომო მატჩების შემდეგ, სადაც „ბარსელონამ" ყველა პრობლემა გადაჭრა, ჩამოყალიბდა უძლიერესი კლუბების ორი ოთხეული, რომლებიც წრიული სისტემით განაგრძობდნენ თამაშს, აქ გამარჯვებულნი კი ფინალში „უემბლის" სტადიონზე უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს.

ერთ-ერთ ამ ოთხეულში „ბარსელონამ" დიდი წარმატებით იასპარეზა, 3 თამაშის მერე 5 ქულით პირველი იყო, შემდეგ მეორე წრეშიც იმარჯვა და აი, ლონდონი, „უემბლის" სტადიონი, 20 მაისი. გადამწყვეტი მატჩი გენუის „სამპდორიასთან".

ღირსეულმა მეტოქეებმა ამ მატჩში ყველაფერი გააკეთეს, რაც კი შეეძლოთ. ბარსელონელმა რონალდ კუმანმა 112-ე წუთზე გამარჯვების მომტანი გოლიც გაიტანა. ამრიგად, „ბარსელონა" დაეუფლა იმ ერთადერთ ევროპულ თასსაც, რომელიც მას მანამდე აკლდა, იოჰან კრუიფმა კი აასრულა ყოველივე, რაც „ბარსელონას" მწვრთნელად დანიშვნისას კატალონიის კლუბის მესვეურებს აღუთქვა.

ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ 1992 წელს სტოიჩკოვს დიდ მიღწევებთან ერთად მარცხიც ჰქონდა. ვინ იფიქრებდა, რომ „ბარსელონას" ჩემპიონთა თასის გათამაშებას დაატოვებინებდა... მოსკოვის ცსკა! ასეთი მარცხი და თანაც საკუთარ მინდორზე, კატალონელებს, ალბათ, არასოდეს განუცდიათ.

ამ „შოკის" შემდეგ რჩებოდა კიდევ ერთი იმედი — იქნებ „ბარსელონას" ტოკიოში მაინც გაემარჯვა ბრაზილიის „სან-პაულუსთან" საკონტინენტთაშორისო მატჩში და მსოფლიოს უძლიერესი საკლუბო გუნდის წოდება მოეპოვებინა. ანგარიშიც დიდებული დარტყმით სწორედ ხ. სტოიჩკოვმა გახსნა, მაგრამ შემდეგ ბრაზილიელებმა, რომლებიც არაჩვეულებრივი ალმაცერობით თამაშობდნენ, მაინც მიაღწიეს გამარჯვებას. რა გაეწყობოდა, ძალა აღმართს ხნავს...

სულ ახლახან ჰოლანდიელი მარკო ვან ბასტენი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნიეს, ხრისტო სტოიჩკოვი კი მეორე ადგილზე გავიდა. მეორე ფეხბურთელი მსოფლიოში — ეს, მოგეხსენებათ, რჩეულთა ხვედრია.

ბიბი გამრეკელი

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **ავსტრალია.** 20 წლამდე იუნიორ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე გაიმართა პირველი შეხვედრები. „დ" ჯგუფში (ქ. ადელაიდა) მექსიკელებმა იოლად სძლიეს ნორვეგიის გუნდს — 3:0. „ა" ჯგუფში ავსტრალიელებმა დაამარცხეს რუსეთის ნაკრები — 3:1. „ც" ჯგუფში (მელბურნი) ფრედ ითამაშეს სამხრეთ კორეისა და ინგლისის ფეხბურთელებმა — 1:1. ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა დიდი ანგარიშით დაამარცხა თურქეთის ნაკრები — 6:0.

● **იაპონია.** აქ მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი იაპონიის, უნგრეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული გუნდების მონაწილეობით. პირველ მატჩში უნგრელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს იაპონელები, ბურთი 47-ე წუთზე გაიტანა იოჟეფ კიპრიხმა.

● **გერმანია.** ამ ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატის XX ტურში ერთმანეთს შეხვდნენ მიუნხენის „ბაიერნი" და ფრანკფურტის „აინტრახტი". გაიმარჯვეს მიუნხენელებმა, ბურთი 27-ე წუთზე გაიტანა ლოთარ მათეუსმა. ბრემენის „ვერდერმა" შინ ანგარიშით 3:0 დაამარცხა „კარლსრუე", ლევერკუზენის „ბაიერმა" სტუმრად მოუგო „შტუტგარტს" — 3:0.

ლიდერობს „ბაიერნი" — 31 ქულა, „ვერდერსა" და „აინტრახტს" 28-28 ქულა აქვთ, დორტმუნდის „ბორუსიას" — 26 და ლევერკუზენის „ბაიერს" — 23. ბომბარდირთა დავაში დაწინაურდნენ ულფ კირსტენი („ბაიერი") და ფრიც ვალტერი („შტუტგარტი") — 11-11 ბურთი.

„აქტიური იუბილე" 20-წლიანი განდგომის შემდეგ

ბუშინ, 9 მარტს, მსოფლიო ექსჩემპიონი რობერტ ჯეიმს ფიშერი 50 წლის გახდა. როგორც ცნობილია, იგი თავს ექსჩემპიონად არ თვლის და უმაღლესი საჭადრაკო წოდების ორ მომდევნო მფლობელს — ანატოლი კარპოვსა და გარი კასპაროვს, ასე ვთქვათ, უზურპატორებად მიიჩნევს. ეს, ცხადია, საჭადრაკო სამყაროში ვითარებას ძაბავს.

მალე ფიშერი დაიწყებს მატჩს (10 მოგებამდე) იუგოსლავიის უძლიერეს მოჭადრაკე ლიუბომირ ლიუბოევიჩთან, რომელსაც აქამდე ჯერ არ შეხვედრია.

ამას წინათ მოსკოვში გამოქვეყნდა წიგნი „ფიშერის გამოცანა", რომლის ავტორმა მანსუროვმა თავი მოუყარა უამრავ მასალას დიდი მოჭადრაკის 20-წლიანი განდგომის შესახებ, მაგრამ ამ უმთავრეს კითხვას მაინც ვერ უპასუხა — გამოცანა გამოცანად რჩება...

ჩვენ კი თვალყური ვადევნოთ „არაკომუნიკაბელური" ფიშერის შემდგომ გამოსვლებს, იქნებ ზოგიერთ საიდუმლოს შემდეგში მაინც აეხადოს ფარდა.

ანონსი

„ლელო" მომდევნო ნომრიდან იწყებს საინტერესო მასალების პუბლიკაციას რ. ფიშერის შესახებ: „ფიშერი, კარპოვი და... მიხეილ სუსლოვი", „საჭადრაკო ფენომენი რობერტ ფიშერი". მიადევნეთ თვალყური.

მაგია სტადიონზე

ყველას ჰყავს თავისი კერპი, ყველას აქვს საკუთარი რწმენა, ზოგი ქრისტეს სცემს თაყვანს, ზოგი ალაჰს, ზოგი ბუდას... სპორტსმენთა ნაწილი წარმატების შემდეგ მადლობას სწირავს ღმერთს, რომელმაც საჭირო მომენტებში მას ძალა შემატა და ნანატრი გამარჯვება მოუტანა. მადლობის გრძნობა, როგორც წესი, მატულობს გამარჯვების მნიშვნელობასთან ერთად. ამიტომაა, რომ ბევრი გამოჩენილი სპორტსმენი ღრმად არის დარწმუნებული იმქვეყნიური ძალების არსებობაში.

ასეთ გამორჩეულ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერი და სიგრძეზე მხტომელი ამერიკელი კარლ ლუისი. 1991 წლის ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატზე მან ყველა გააკვირვა პროგნოზების გაბედულებითა და სიზუსტით. სტარტის წინ ლუისი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ გაიმარჯვებდა და თანაც, უსათუოდ, ახალი მსოფლიო რეკორდით. ამას იგი ხმამაღლა, ყველას გასაგონად ამბობდა და... ისმინა ღმერთმა.

აი რა თქვა სპორტსმენმა 100 მეტრზე რბენაში გამარჯვებისა და მსოფლიო რეკორდის დამყარების შემდეგ:

— სტარტის დღეს სასტუმროში ტელეფონის ზარი გაისმა ნიუ-იორკიდან. მირეკავდა ძველი მეგობარი, აინტერესებდა აქაური ამბები, რას ვფიქრობ, როგორი გეგმები და გუნება-განწყობილება მქონდა სტარტის წინ, დარწმუნებული ვიყავი თუ არა წარმატებაში და სხვა ათასგვარი წვრილმანი. მერე ისე, სხვათა შორის, მითხრა, რომ ეს იქნებოდა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი გარბენი და ამ მძიმე ბრძოლაში წინ გამიძღვებოდა გარდაცვლილი მამის სული, რომელიც გამარჯვების გარანტიას მომცემდა.

— ვიცი, რომ ღმერთი ნებას მისცემს მამაშენს, გაიხაროს შენი ყველაზე დიდი გამარჯვების მნიშვნელობით. — ასე დაასრულა მეგობარმა პათეტიკური მომართვა ნიუ-იორკიდან.

— დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, ახლა უკვე ტელეფაქსით, მივიღე ბარათი მეორე მეგობრისგან, რომელიც თითქმის იგივეს მწერდა ჩემი მომავალი წარმატების ტექნოლოგიაზე, თანაც მარწმუნებდა, რომ ყველაფერი ეს უკვე წინასწარვეა გათვლილი განგების მიერო.

— ასე ერთი საათის ინტერვალით, ორმა სხვადასხვა ადამიანმა ახსენა მამაჩემის სახელი, რომელიც 1987 წელს გარდაიცვალა კიბოსგან და ეს სახელი ორივემ ჩემს მომავალ გამარჯვებას დაუკავშირა.

ერთი შეხედვით ამაში გასაკვირი თითქოს არაფერი უნდა ყოფილიყო. მე გამარჯვებისთვის ვიბრძოდი და ყოველმხრივ მზად ვიყავი საამისოდ. მეგობრები მხარს მიჭერდნენ და მამაჩემის სახელით მამხნევებდნენ, ვინაიდან კარგად იცოდნენ, თუ როგორ ვცემდი პატივს მას. სხვათა შორის, მე თვითონაც ფიქრებით ხშირად ვყოფილვარ მამაჩემთან, ბევრი ჩემი გადაწყვეტილება მისი თვალთახედვით გამიანალიზებია. ცოტა გასაკვირი კი იყო ამ ორი სატელეფონო ზარისა და სურვილის დამთხვევა დროში და მათი ერთნაირი შინაარსი, ემოციური დატვირთვა. სწორედ ამის გამო სარბენ ბილიკზე სტარტის მოლოდინში მყოფი ღრმად დარწმუნებული ვიყავი, რომ აქვე ახლოს, ჩემს გვერდით, მამაჩემის სული ტრიალებდა.

დაჯილდოების შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე კ. ლუისმა შტატიანი ფსიქოანალიტიკოსის მსგავსად ბევრი ილაპარაკა იმქვეყნიურ ძალაზე, რომელსაც აშკარად გრძნობდა სარეკორდო რბენის პროცესში.

— დარწმუნებული ვარ, ჩემს რბენას ყურადღებით ადევნებდა თვალს მამაჩემი და სწორედ ის გახდა ჩემი უნებლიე სტიმული ამ ბრძოლაში — ასე დაამთავრა გამოსვლა პრესკონფერენციაზე ლუისმა და თვალებზე ცრემლი მოერია. იმ მომენტში იქ მყოფ 100 ჟურნალისტიდან არც ერთს ეჭვი არ შეპარვია სპორტსმენის გულწრფელობაში. იმ წუთში კ. ლუისის ყველა მსმენელი მისი ემოციური განწყობის ტყვეობაში აღმოჩნდა.

მეორე ამერიკელ სუპერმძლეოსანს მაიკ პაუელს იმქვეყნიურ ძალებზე უფრო მეტად ადამიანისა და კოსმოსის იდუმალი ურთიერთკავშირისა სჯერა. ეს კავშირი, მისი აზრით, განსაკუთრებით საგრძნობი ხდება, როცა სპორტსმენის ემოციური დატვირთვა ზენიტს აღწევს და გამოსავალს სხვებთან შეჯიბრებაში, ძალის მოსინჯვაში პოულობს. ეს ნაწილობრივ ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში იმ მაყურებლებმაც იგრძნეს, რომლებიც სიგრძეზე ხტომის სექტორთან ახლოს იმყოფებოდნენ და უშუალოდ ადევნებდნენ თვალს ბრძოლის პერიპეტიებს.

ემოციური დატვირთვა იმ მომენტში მართლაც უაღრესად დიდი იყო, მით უფრო, რომ მძლეოსნობის ისტორიაში ყველაზე საპატიო, ფანტასტიკურად წოდებული რეკორდი ბობი ბიმონისა უკვე დასამხობად გამზადებული ჩანდა. როდესაც მაიკ პაუელისა და კარლ ლუისის ბრძოლამ აპოგეას მიაღწია, პრესის ლოჟაში მოვიდა ცნობა ტაიფუნის მოახლოების შესახებ. ცოტა ხანში პროჟექტორების შუქზე ათასფრად აბრჭყვიალდა წვიმის წვეთები. ცხელი, თითქმის ტროპიკული ჰაერი ნესტით გაიჟღინთა და დამძიმდა. ამოვარდა ქარი, რომელმაც ჰაერში აიტაცა ყველაფერი, და მასთან ერთად, სამსაჯო ოქმის ფურცლები...

მაგრამ მთავარი დარტყმა სტიქიამ ღამისთვის შემოინახა, თითქოს აცალა მოვლენებს განვითარება — გარეგნულად მშვიდი, მაგრამ უაღრესად დრამატული ბრძოლა მსოფლიო რეკორდისთვის. პაუელმა და ლუისმა მოასწრეს თავიანთი ნახტომების შესრულება, ლეგენდა დაიბადა, წარღვნა კი მას მერე მოხდა.

სხვათა შორის, ბიმონის სარეკორდო ნახტომსაც (1968 წელი, მეხიკო) ანალოგიური ამინდი დაესწრო: ჯერ იყო რეკორდი, ქვეყანა კი მერე დაიქცა (უფრო ზუსტად, ისეთი ტროპიკული წვიმა წამოვიდა, რომლის მსგავსი ხნიერ ადამიანებსაც არ ახსოვდათ).

...ტაიფუნი იმ ღამეს ტოკიოში დიდხანს მძვინვარებდა. ვინ იცის, იქნებ მართლაც არსებობს კავშირი სტიქიასა და ადამიანის მაქსიმალურ შესაძლებლობებს შორის? მაგრამ ასეც რომ იყოს, განგება მაინც იმ სპორტსმენს ეხმარება, რომელიც მზად არის განსაკუთრებული გმირობისთვის. ამიტომ, საბოლოო ჯამში ყველაფერი მაინც ადამიანზეა დამოკიდებული, ან უფრო სწორად, თითქმის ყველაფერი.

ვინ უფრო მდიდარია?

როგორც სტატისტიკოსები ამტკიცებენ, ალმოსავლეთ ევროპის ყველაზე მდიდარ სპორტსმენთა ათეულში ხუთი წარმომადგენელი შედის ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან. მათში ყველაზე მდიდარია სიაში მესამე ადგილზე მდგარი ლიტველი კალათბურთელი შარუნას მარჩიულიონისი, რომელიც ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს და ნბა-ში გამოდის. ამბობენ, რომ მას ანგარიშზე 3 მილიონ 700 ათასი დოლარი აქვსო.

უკრაინელი მძლეოსანი, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში სერგეი ბუბკა (არც იგი ცხოვრობს თავის სამშობლოში) 3 მილიონი დოლარით მეექვსეა. შემდეგ 2 მილიონ 400 ათასი დოლარით, რაც მეშვიდე ადგილს შეეფარდება, მოდის ბელარუსი ჩოგბურთელი ნატალია ზვერევა. რუსი ჩოგბურთელი ანდრეი ჩესნოკოვი (1.700.000 დოლარი) სიაში მეცხრეა, ხოლო ათეულს „კეტავს" მოსკოველი ფეხბურთელი იგორ შალიმოვი — 1,5 მილიონი დოლარი.



სურათზე: შარუნას მარჩიულიონისი, მისი მეუღლე ინგა და ქალიშვილი კრისტე საკუთარ ბაღში.

მერვე ტირაჟის შედეგები

„6 45":

6 ნომერი — 0;
5 ნომერი — 12.289 მანეთი;
4 ნომერი — 557 მანეთი.

„5 36":

5 ნომერი — 631.288 მანეთი;
4 ნომერი — 1.897 მანეთი;
3 ნომერი — 92 მანეთი.

მეცხრე ტირაჟები

“6 45": 1, 4, 11, 21, 33, 45
„5 36": 1, 9, 18, 20, 29.
„6 56": 10, 37, 44, 45, 48, 49, 54

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

საქმე ადრე მოითავა...

უმეტესად ასეა ხოლმე: ბოლო ტურში, როცა თითქმის ყველაფერი გარკვეულია, მეტოქეებს დასაკარგი არაფერი აქვთ და ჩქარობენ ბევრს ვერაფერს შეიძენენ, პარტიებს მშვიდობიანად ამთავრებენ. ასე იყო თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულებულ 18 წლამდე მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ რესპუბლიკურ ასპარეზობაზეც — ერთადერთი საგზური ვადამდე გაინაღდა თბილისელმა გიორგი ყაჭეიშვილმა და უფრო მაღალი რანგის შეჯიბრებაზე — ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა შესარჩევ ზონალურ ტურნირზე გაეშურა. დარჩენილთა შორის გამართულ უკანასკნელ ტურს უნდა დაესახელებინა II-IV ადგილების მფლობელები, ისინი, ვინც გამარჯვებულივით 20 წლამდე მოჭადრაკეთა მსოფლიო და ევროპის პირველობის მონაწილის შესარჩევ რესპუბლიკურ ტურნირში გამოსვლის უფლებას მიიღებდნენ.

7-დან 4 პარტიაში მეტოქენი დაზავდნენ. ქუთაისელ ალექსანდრე ყაშაშვილს თბილისელ ხვიჩა ბახტაძესთან კიდევაც რომ წაეგო, მეორე ადგილს ვერავინ ეცილებოდა. ისინი ყაიმზე შეთანხმდნენ. რუსთაველ თამაზ გელაშვილს თბილისელ კახა კეკიშვილთან შეხვედრაში მოგება სჭირდებოდა III ადგილის დასაკავებლად და მიზანსაც მიაღწია — 11,5 ქულა გაუხდა და ქულით ჩამორჩა ყაშაშვილს. IV საგზურის ორი პრეტენდენტიდან დათო ხაჩიძე დამარცხდა მერაბ სალირაშვილთან, ვიქტორ დუნდუა (სამივე — თბილისი) კი დაუზავდა ქუთაისელ გიორგი ტყეშელაშვილს, მოაგროვა 10,5 ქულა და საგზურიც მას დარჩა.

100 მილიარდი... სვლა

კუ და ეტლი ორი მხედრის წინააღმდეგ. ასეთ პოზიციაში მოჭადრაკეები მეტწილად ყაიმზე უთანხმდებიან ერთმანეთს, თუმცა ერთ მხარეს აქვს გარკვეული უპირატესობა ხარისხის სახით. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ექვსფიგურიანი ენდშპილი (ცხადია, იგულისხმება მეფეებიც), თუ მეტოქემ შეცდომა არ დაუშვა, ჯერ არავის მოუგია. მაგრამ, როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბალტიმორიდან იუწყება, მოგება თურმე მაინც არსებობს და იგი მიიღწევა... 223 სვლის შემდეგ.

ეს დაამტკიცა ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის 25 წლის ბალტიმორელმა სტუდენტმა ლუის სტილერმა ლოს-ალამოსის ეროვნულ ლაბორატორიაში (ეს ლაბორატორია აშშ-ის სამხედრო უწყების მთავარ სამეცნიერო ცენტრად ითვლება) შექმნილი სუპერკომპიუტერის დახმარებით. სტილერმა ანალიზის რეტროგრადული მეთოდის გამოყენებით ამ ამოცანის გადაწყვეტისას მოსინჯა 100 მილიარდი (!) სვლა.

ჩვეულებრივი ჰკვიანი მანქანებისაგან განსხვავებით, ლოს-ალამოსის კომპიუტერს აკუთვნებენ ე. წ. პარალელური ავტომატების კლასს, სადაც ერთის ნაცვლად 65356 პროცესორია. მაგრამ ასეთი ზემძლავრი და ზესწრაფი კომპიუტერიც ალბათ ვერაფერს გახდებოდა, სტილერს მეტად ორიგინალური და ჰკვიანური პროგრამა რომ არ ჰქონდეს შედგენილი (ათი ათასი სტრიქონ-ბრძანებისგან). ექვსფიგურიანი ამოცანის ამოსახსნელად მას სჭირდება 4-იდან 6 საათამდე, 5-ფიგურიანისთვის კი გაცილებით ნაკლები.

ჰარვარდის უნივერსიტეტის მათემატიკის პროფესორის ნოემი ელკისის განცხადებით, ეს გახლავთ აღმოჩენა, რომელიც შეიცავს არსებითად ახალ პრინციპებს. სხვათაშორის, სტილერს ამოცანის გადაწყვეტა სწორედ ამ მეცნიერმა შესთავაზა. ელკისი დარწმუნებულია, რომ ეს მანქანა უფრო რთულ ამოცანებსაც გადაწყვეტს. სტილერმა, მისი აზრით, მიაგნო პარალელური კვლევის მეტად საინტერესო და ორიგინალურ მეთოდს.

17 მარტს, გუდაურში...

17 მარტს საქართველოს სათხილამურო ასოციაცია და ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტული სკოლა ატარებს ნორჩი მოთხილამურის — ვატო ფიფიას მემორიალს. შეჯიბრებაზე დაიშვებიან 1979-81 წ.წ. დაბადებული სპორტსმენები. ყველა მსურველს გთხოვთ გამოცხადდეთ დაბა გუდაურში 14 მარტს.

ცნობებისათვის დარეკეთ 22-51-22.

ორგკომიტეტი

საქართველოს ვეტერან მორაგბეთა ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ვეტერან მორაგბეს გურამ მოდებაძეს მამის

შოთა მოდებაძის

რდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ☎ ტელ: 99-56-14, 99-81-71. ინდექსი 66485 INDEX დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში.